№ 63

1877—1898

№ 63

კვირა, 22 მარტი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. **ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი ა. ი. **რუდენკო**. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. **შრიტახეევიჩი**. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. **კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. **გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. **შუღინსკი**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგე კომიტეტი

აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება წევრთა დანიშნულია ამ წლის 23 აპრილს, საღამოს 7½ საათზედ, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედების 1-ს იანვრიდგან 1897 წ. 1-ს იანვრამდის 1898 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის სადგურისათვის მიწის სყიდვისა და ამ ადგილებზედ შესაფერის სახლის აშენების შესახებ.

4) ამორჩევა გამგე კომიტეტის ახალ წევრთ მომავალის ოთხის წლით.

5) სხვა-და-სხვა თხოვნანი და წვრილმანი საგნები. (1—6.—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 25 მარტს,

ქართულის თეატრის რეჟისორის თანაშემწეს ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ

ქართულის დრამატიულის დასის არტისტების **ქნ. ბ. ა. აბაშიძისა** და **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ურიელ აკოსტა**

ტრაგედია 5 მოქ. თხზ. გუცკოსი თარგ. ი. ბაქრაძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, კუნდელი გამყრელიძისა. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, გედევანოვი, თ. დადიანი, კანდელაკი, წერეთელი, თამაზიშვილი, ჯაფარიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები დღეიდგანვე ისყიდება თეატრის კასსაში.

რეჟისორი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი

## ახალი ამბავი

⁂ პეტერბურგიდამ მოვიდა ამბავი, რომ სახელმწიფო საბჭოს დაუმტკიცებია წარდგენილობა ფინანსთა მინისტრისა შესახებ ჩვენის ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა. დამფუძნებელნი წევრნი აღარ იქნებიან, მათ მიერ შეტანილი ბანკში ფული დაუბრუნდებათ. საზოგადო კრება შემდგარი იქნება წარმომადგენელთაგან. წარმომადგენელნი ამორჩეულ იქნებიან ნახევარი მსესხებელთაგან და ნახევარი თავად-აზნაურთაგან. თავად-აზნაურნი ამოირჩევენ თავისს წარმომადგენელთ სამის წლის ვადით; ფინანსთა მინისტრს ნება აქვს თავისის საკუთარის უფლებით მოახდინოს ეს ცვლილება.

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 22 მარტს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია „ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება, რომელმაც რამდენიმე ფრიად საყურადღებო საგანი უნდა გადასწყვიტოს, სხვათა შორის, ამა საზოგადოების წესდების ზოგიერთის მუხლის შეცვლის შესახებ, ამოირჩიოს ერთი დირექტორთაგანი და სხვანი. ეს კრება მეორედ ინიშნება. პირველი კრება 8 მარტისათვის იყო დანიშნული, მაგრამ საკმაო რიცხვის წევრთა დაუსწრებლობისა გამო გადაიდო.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკისა და მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა კავკასიის რწმუნებულის ბ-ნის ი. ს. მედვედევის მოლაპარაკებით ქუთაისის გუბ. დ. ყვირილის საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეში მიწვეულ იქმნებიან სოფლის მასწავლებლები, რომელთაც 10 დღის განმავლობაში სანერგეს მმართველის სტაროსელსკისა და აგრონომის ლუპანოვის ხელმძღვანელობით უნდა შეისწავლონ ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენებისა და მყნობის ხელი, რომ შემდეგ ეს ცოდნა გაავრცელონ სოფლის მცხოვრებელთა შორის. ამ აზრით სოფლის სასწავლებლებთან დაარსებულ იქმნება პატარ-პატარა საცდელი სანერგეები. მასწავლებელთ ამასთანავე გააცნობენ ვაზის სოკოს ავადმყოფობას და ამ სენის საწამლებლად საჭირო საშუალებას. მასწავლებლებს მიიწვევენ 23 მარტს. მასწავლებელთ, ვიდრე კურსები დასრულდებოდეს, დღეში თითო მან. მიეცემათ. ასეთივე კურსები იქმნება გამართული მაისში ტფილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთათვისაც.

⁂ გუშინ წინ, 20 მარტს, მეორე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია რამდენიმე საქმე მეპურეებისა და ყასბებისა, რომელთაც საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა ჰბრალდებოდათ. რამდენიმე მეპურე, რომელთაც ჰბრალდებათ პურის ნიხრზედ მეტ ფასად გაყიდვა, დაჯარიმებულ იქმნა 5 მანათიდგან 20 მანეთამდე. ყასაბს დარჩო დივანოვს მოსამართლემ 50 მან. ჯარიმის გადახდა მიუსაჯა ხორცის მეტ ფასად გაყიდვის გამო.

⁂ 19 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ქ. გორში განიხილა იმ ათის ოსის საქმე, რომელთაც საქურდლად ავაზაკთა ბრბოს შედგენა ჰბრალდებათ. ეს ბრბო დათარეშობდა დ. სურამსა და მახლობელ სოფლებში ვანო ყულუმბეგაშვილის მოთავეობით, რომელსაც ყოველგვარი უფლება აქვს აყრილი. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: ვანო ყულუმბეგაშვილსა, ვასო გოგლაშვილსა, ნიკო თვაურსა და ჩიგირაშვილს კატორღა, ძმებს თედო და გარსევან ყულუმბეგაშვილებს—პატიმართა რაზმში გაგზავნა და დანარჩენი ბრალდებულნი-კი გამართლებულ იქმნენ.

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ვერ აგაკვნესა, უმგზავსო,
პოეტის რისხვა-წყევამა,
ვერცა ცის მკაცრმა სასჯელმა,
ვერც მართლის სისხლის ნთხევამა,
ვერც ქვრივის, ობლის, ბედ-შავის
და გმირის ცრემლთა ფრქვევამა.
სხვამ რამ დაგალბოს, გულქვაო,
რომელმა მძლეთა-ძლევამა!..

ვასო

### ოცნება და ცხოვრება

(მრევლში. დავ. კლდიაშვილისა. „მოამბე“ № 1. 98 წ.)

წინადვე უნდა გამოგიტყდე, მკითხველო, რომ მორალისტი არა ვარ, რომელიც ყოველი ადამიანის საქმეს, სურვილსა და მისწრაფებას განყენებულად ჰზომავს, ცუდს აგინებს, კარგს აქებს და მხედველობაში-კი არ იღებს ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოებას, რომელიც ყოველი ჩვენგანის მოქმედებას მიმართულებას აძლევს. ჩემი საკუთარი შეხედულება, რასაკვირველია, მე არ აღმომიჩენია: ცხოვრების კანონებს ღვთისგან რჩეულნი იკვლევენ, ჩვეულებრივ მომაკვდავთ გვატყობინებენ, მაგრამ ჩემისთანა მომაკვდავმა რომ ტვინს ძალა დაატანოს და ამა თუ იმ მოძღვრების საზრიანი მიმდევარი გახდეს, ესეც დიდი საქმეა,—თუ გნებავთ,—ქების ღირსიც; რაც უნდა იყოს, გასაკიცხი მაინც არ არის. რჩეულთ დაუდგენიათ: ადამიანი თავის ღირსება-ნაკლულევანებით ცხოვრების გარემოებათა ნაყოფიაო; მაგრამ სწორე მოგახსენოთ, არა მჯეროდა და, მგონი, არც მესმოდა. როდესაც ჩემს საკუთარს თავზედ გამოვცადე ამ კანონის მძლავრი ბრჭყალები და, რამდენადაც შემეძლო, სხვის მოქმედებასაც ჩავუკვირდი, მაშინ-კი დავრწმუნდი მის ჭეშმარიტებას. ხშირად ადამიანი ცუდს საქმეს სჩადის. მორალისტი არც აცივებს, არც აცხელებს და დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას, ჩაჰქოლეთ ცუდის საქმის ჩამდენიო. ვინც-კი რეალურად უყურებს ცხოვრებას, გაარჩევს ამ ცუდის კაცის ცუდს საქმეს და უმეტეს შემთხვევაში აღმოაჩენს: ათასი კარგიც ყოფილიყო, მისი ცხოვრება იმ გვარ გარემოებათა შორის მოექცა, რომ ამ გვარ საქციელს თავიდგან ვერ აიცდენდაო. ყოველსავე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველი მოვამზადო და თავი არ გამოვალანძღვიო: ჩემი ცხოვრებაც ისეთ გარემოებათა შორის მოექცა, რომ მივეჩვიე ყოველ საგანს, ყოველგვარ მოქმედებას მხოლოდ სარგებლობის თვალით ვუყურო, სარგებლობის საზომით ვზომო. უსარგებლო რამ, ათასი ლამაზიც იყოს, წყალსაც წაუღია; ცხოვრება იმდენად ძნელია, გაჭირვებულთა რიცხვი ისე მრავალი, რომ მარტო სილამაზის გაღმერთება რა საკადრისია! თუ სასარგებლო ხარ, ლამაზიცა ხარ, თუ არავის არაფრად არგიხარ, როგორიც გენებოს, ისეთი ბრძანდებოდე. ვგრძნობ, რომ ყოველისფრის სარგებლობის საზომით ზომა როგორღაც საჩოთიროა, მაგრამ რა ვქნა: წყეული ცხოვრებაა დამნაშავე; მე მხოლოდ უბრალო ობიექტი ვარ მისის უტყუარის კანონების გამოსახატავად.

დღეს მინდა, მკითხველო, ერთის ლიტერატურულ ნაწარმოების შესახებ შეგატყობინო ჩემი აზრი, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენე, ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოებიც იმდენად მომწონს, რამდენათაც ის მკითხველს სარგებლობას აძლევს, მით რომ ან ცხოვრებას გადუშლის და ამით თვალებს აუხელს, ან თავისს საკუთარ გულში ჩაახედებს და ჩააფიქრებს. მგონი, ეს მეოთხე წელიწადია, რაც ბ-ნი დავ. კლდიაშვილი საბელეტრისტო ასპარეზზე გამოვიდა და მას აქეთ მისი ყოველი ნაწარმოები ლუარსაბის ესტეტიკის დაკმაყოფილებას-კი არ სცდილობს, არამედ გვიხატავს ჩვენს საკუთარს, ჩვენის ხალხის ცხოვრებას და გვიხატავს ისეთის ხელოვნებით, რომ, როცა კითხულობთ, ასე გგონიათ, თითქოს ყოველივე საკუთარის თვალებით გენახოთ. დავ. კლდიაშვილის მნიშვნელობის შესახებ ჯერ ადრეა ლაპარაკი, რადგანაც მისი ნიჭი მხოლოდ ახლა იშლება და თანდათან იზრდება,—მე მხოლოდ უკანასკნელი სურათი მაქვს სახეში. აქ ხალხის ცხოვრების დასურათებას ისეთი ალაგი არ უჭირავს, როგორც ზოსიმე მღვდლის სულიერ მდგომარეობას. ავტორი მხოლოდ ერთს წუთს ჩაგვახედებს ზოსიმეს გულსა და გონებაში, მაგრამ ამ ერთ წამშიაც იმდენს გვატყობინებს, რამდენსაც ზოგიერთი ფსიხოლოგი მთელს ტომში ვერ გადმოგვცემდა. იმასა აქვს მხოლოდ ერთი მომენტი აღებული ზოსიმეს სულიერ მდგომარეობისა, მაგრამ ისეთი მომენტი, რომელიც ყველაზედ უფრო საყურადღებოა. ზოსიმე ჩვეულებრივი ადამიანია, ის ერთი მრავალთაგანია. ახალგაზდაც და ხნიერიც ყველა ჰპოებს იმასთან თავისს მსგავსებას,—ზოგი აწმყოში, ზოგი წარსულში; მას ყველასთანა აქვს ნათესავური კავშირი და მისი მწარე ფიქრები სხვა მრავალისათვისაც გულ-საგმინავია, ყოფილა და იქნება.

ღარიბის ოჯახის შვილი, ზოსიმე, სწავლის დამთავრებამდევე მუდამ იმ აზრით იყო აღფრთოვანებული, რომ სწავლას გავათავებ თუ არა, დავუბრუნდები სოფელს და უანგაროდ შევუდგები ხალხის სამსახურსაო. სრული იმედი ჰქონდა, რომ „ხალხში შეიტანდა პატივისცემას მის წოდებისადმი, შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელია სიყვარულისა მოყვასისადმი, ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბოროტებისაგან“. ეგონა, თუ თავისის მოქმედებით ხალხში ნდობას, სიყვარულს, პატივისცემას მოიხვეჭდა, ხალხს ჭირს შეუმსუბუქებდა, ცხოვრებას გაუადვილებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობას ატყობინებენ, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი ტფილისში ხვალ, 23 მარტს, ჩამოვა. ამის გამო 22 დანიშნული წლიური აქტი ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიისა 25 სთვის გადაიდო.

⁂ ხვალ, 23 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზედ, აკურთხებენ ქალაქის ახლად დაარსებულ ღამის მეორე თავ-შესაფარს. ეს თავშესაფარი დიდუბეში, ელისაბედის ქუჩაზედ, პოლაკის სახლშია მოთავსებული.

⁂ ქალაქის ბავშვთა გადამდებ ავადმყოფთა საავადმყოფოში 19 მარტიდგან დაიწყეს მიღება იმ ბავშვებისა, რომელნიც ყვავილით არიან ავად. ჯერ-ჯერობით ორი ბავშვი მიიღეს, ყვავილით ავადმყოფი.

⁂ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელს ბ. ნ გამყრელიძეს ამავე გიმნაზიის ინსპექტორად ჰნიშნავენ.

⁂ მეურნეობის დეპარტამენტი, გაზეთების სიტყვით, შეუდგა იმ საგნის განხილვას, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული ბამბის მოყვანის საქმის განსაკარგებლად და საზოგადოდ ამ მრეწველობის გასაძლიერებლად. ამის გამო დეპარტამენტმა სთხოვა კავკასიის მთავრობას შეატყობინოს ზოგიერთი ცნობები კავკასიაში ბამბის მოყვანის შესახებ.

⁂ მცხეთიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფ.“-ს, რომ 15 მარტიდგან მცხეთაში დაიწყეს სახალხო ზნეობისა და სასულიერო შინაარსის საუბრებიო. რადგანაც ეკკლესიაში ძალიან ცივა, საუბრებს ჯერ-ჯერობით წიგნთ-საცავში ჰმართავენო. საუბრების დაარსებისას გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც მცხეთის დედათა სასწავლებლის მოსწავლენი ჰგალობდნენ. საუბრებს სიხარულით ესწრებიან. პირველი საუბარი გაჰმართა მონასტრის მღვდელმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაატაროს კაცმა კვირა-უქმე დღეები. შემდეგ სასწავლებლის მასწავლებელმა თავ. ასულმა ციციშვილისამ მოთხრობა წაიკითხა. დამსწრენი სულ განაბულნი უსმენდნენო.

⁂ გაზ. „Ялта“ სწერს, რომ განზრახვა აქვთ ელექტრონის რკინის გზა გაიყვანონ შავის ზღვის ნაპირზედ სუხუმიდგან ნოვოროსისკამდის. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად მიიწვიეს ბ-ნი ჰარტმანი, რომლის რწმუნებული პოპლავსკი ამ დღეებში გაემგზავრება კავკასიისკენაო.

⁂ გაზ. „კავკასს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო-საერო განათლების გამგეობის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გრებენშჩიკოვი შავის ზღვის ნაპირის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად იქმნა დანიშნულიო.

⁂ „კავკასის“ სიტყვით, ნავთლუღის მცხოვრებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ ისეთივე ყურადღება მიაქციოს ნავთლუღს, როგორც ქალაქის სხვა ნაწილებს აქცევს და იქაც, როგორც სხვაგან, თვალყური ადევნონ სანოვაგის გაყიდვას, განათებას, ქუჩების შენახვას, გაიყვანოს ცხენის რკინის გზა და, უმთავრესად, მოახდინოს ჭეშმარიტი დაფასება იმათის სახლებისა ანა და სრულიად განათავისუფლოს ნავთლუღის სახლის პატრონები გარდასახადისაგან, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან ყველა იმას, რასაც ქალაქის სხვა ნაწილების სახლის პატრონებისათვის ზრუნავენ.

⁂ სოფ. ნატახტარი, (დუშეთის მაზრა). ამ დღეებში აქ ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გასტეხეს ეკკლესია და წაიღეს, რაც-კი ძვირფასი და გამოსადეგი რამ ჰნახეს ეკკლესიაში. ეკკლესიიდგან 1,000 მან. სხვა-და-სხვა ნივთი წაიღეს. ასეთი ქურდობა აქეთკენ პირველი არ არის. წარსულ წელსაც გასტეხეს სოფ. ერედის ეკკლესია და ქურდები პოლიციას დღესაც არ აღმოუჩენია. ცხენისა და სხვა საქონლის ქურდობა ხომ ისეა გახშირებული, რომ მოსვენება აღარა გვაქვს. სხვათა შორის, ქურდები ისე გავიდნენ თავს, რომ მაზრის უფროსის ჩაფრებსაც-კი მოჰპარეს რამდენიმე ცხენი.

⁂ ქ. ერევანი. ამ ჟამად აქაურ ქართველთა შორის ხელის-მოწერაა გამართული „წერა-კით. გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გასამართ ბაზრობის სასარგებლოდ.

⁂ ქ. გორი. მტკვარმა იმატა და „პოსელენიის“ მცხოვრებთ თავს შიშის ზარი დაეცათ. რკინის გზის მახლობლად მტკვრის სანაპიროებს მთავრობა ამაგრებს, ქალაქის მხარე-კი ღვთის ანაბარადაა დატოვებული.

⁂ ტფილისის მაზრის სოფ. თონეთში— ტფილისის მცხოვრებელი გაბო ხარაზოვი გაყინული იპოვნეს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში ბოქაულის თანამდებობის დაარსების საქმე შეწყნარებულ იქმნა მთავრობისაგანაო.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენის გაზეთის ამა წლის მე-60 №-ში ერთი სამწუხარო შეცდომა მოგვსვლია. გამოცხადებული გვქონდა, რომ ადგილობრივის ადმინისტრაციის განკარგულებით „მიკიტანი გორგიჯანოვი სამის თვის ვადით გამძევებულ იქმნა ტფილისიდგანაო, რადგანაც თავისს სამიკიტნოში ჩუმად უშვებდა საქეიფოდ მოსწავლე ახალგაზდობასაო“. ეს ამბავი მართალია, მხოლოდ მიკიტანი გორგიჯანოვი-კი არ არის გამძევებული, არამედ მიკიტანი ბეგიჯანოვი. ბოდიშს ვიხდით ამ უნებურ შეცდომისათვის.

## წერილი გურიიდგან

მარტის 15

ყოველ ზამთარში, ყოველ შემოდგომის დასასრულსა და გაზაფხულის დასაწყისში ჩვენი საყოველთაო სადრტვინავი და სალაპარაკო ის არის, რომ სოფლად გზები ფუჭდება, მიმოსვლა, არა თუ ქვეითად, ცხენითაც გასაჭირი და საძნელო ხდება. ხოლო ეს დამაღონებელი და ჩვენის კეთილ-დღეობის ბევრ-ნაირად დამაბრკოლებელი გარემოება თუ თან-და თან უარეს ყოფაში არ ვარდება, განკარგება მაინც არ ეტყობა და არა.

წინად, როცა მოსახლეობა ეგრე მჭიდრო არ იყო, როცა სახნავ სათესი თუ სამოსახლო ადგილები შედარებით უფრო ადვილად და ბლომად საშოვნელი იყო, სასოფლო გზებსაც, რა თქმა უნდა, დიდი თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. მაშინ განსაზღვრული და გარკვეული ალაგები გზებისათვის არც-კი იყო. უხნავ-უთესავ და შეუღობავ მიდამოებში, სადაც კეთილ-ინებებდით, იქ გაივლიდით. ერთსა და იმავე ადგილზედ არა იშვიათად სამნაირი გზა იყო: საქვეითო, საცხენოსნო და საურმე. მაშინ გზები არც ეგრე სამაგალითოდ ტალახიანდებოდა.

ახლა, როცა ადგილის სიძვირემ თავში დაგვკრა, როცა ცხოვრება ყოველნაირად გაჭირდა და გაძვირდა, იშვიათად შეხვდებით შეუღობავ ადგილებს. მთელი სოფელი ჭადრაკის ფიცარსავით აჭრელებული და გახლართულ-გამოხლართულია ორღობეებით, ანუ შუკებით. გზას თავისი ალაგი მტკიცედ განსაზღვრული აქვს და გინდ უეჭველი მარცხი ელოდეს თქვენს მტერსა და ავისმდომელს წინ, შეხვევა მაინც არსად შეგიძლიანთ. გარდა ამისა, ეს არის და ეს ერთად-ერთი გზა საქვეითოც, საცხენოსნოც და საურმეც. რა ილაჯი გაქვთ, როცა საჭიროება არის, ქვეითმაც არ იგემოთ ყოველივე სიკეთე ასეთის გზისა, სადაც ცხენები მკერდამდე ეფლობიან ლაფში და ულელი ხარი ურმის თვალს რის წვალებით და ვაივაგლახით ატრიალებს. ამ შემთხვევაში ვერც ერთი აწ არსებულ ფეხსაცმელთაგანი ვერაფერს გიშველის ისე, რომ წელთამდე მაინც არ დაისვაროთ. კარგია, ვინმე სატალახო თხილამურს გამოიგონებდეს! ვიდრე ჩვენ გზის გაკეთებისა და წესიერად შენახვის მნიშვნელობას შევიგნებდეთ, მანამ აშენდება ის კაცი. მარტო გურიიდგან რამდენი მუშტარი ეყოლება! მაგრამ ამ მხრით გურიას საქართველოს არც სხვა კუთხე ჩამოუვარდება.

ნეტავი მაინც ამდენი ყვირილი და ქადილი არ იყოს, გზებს ვაკეთებთ და ქვეყანას ვაშენებთო. მამასახლისი ბოქაულს ატყუებს, ამდენი და ამდენი ვერსი გზა გამიკეთებიაო, ბოქაულს კიდევ მაზრის უფროსი შეჰყავს შეცდომაში, მაზრის უფროსი გუბერნატორის წინაშე გამოდის პირნათლად და ვის რად ენაღვლება, თუ ჩვენ ლაფში ვლივლივებთ; თუ ეკკლესიაში ვერ მივსულვართ წირვა-ლოცვის მოსასმენად; თუ მახლობელ რკინის გზის სადგურზედ კაცი ვერ გაგვიგზავნია გაზეთის მოსატანად; თუ საალებ-მიცემო ადგილებთან მიმოსვლა შეწყვეტილი გვაქვს და სხვ... ოფიციალურ ქაღალდებში ხომ გაკეთებულად არის ჩვენი სასოფლო გზები აღნიშნული და მეტი რაღა გვინდა! ჩემებრ მოცლილი მოამბე გაზეთისა რაღაცას „გაიბჟუტურებს“, ამით ვის რა ჩინი და ორდენი დააკლდება! ღმერთმა ნურაფერი დააკლოთ, ხოლო ძალიან სასურველია, რომ მათ მიერ გაკეთებულად მოხსენებულ გზებზედ ამ ზამთრის ბოლოს მაინც ერთხელ თავიანთის ბედნიერის ფეხებით გაიარონ და დარწმუნდებოდნენ, ეს ჩვენი ჩივილი მართლა მოცალეობისა და უქმობის ნაყოფია, თუ ამის შესახებ თითონ საქმის უეჭველი გარემოება ჰღაღადებს ყოველთა გასაგონად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თუ გურიაში სასოფლო გზებს არ აკეთებენ, ალბად იქაური გლეხები ამ მხრივ მაინც თავისუფალნი იქნებიან და ესეც საქმედ უნდა ვიგულისხმოთო. არარაობაში, რასაკვირველია, ესეც ნუგეშია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ გლეხებს გზის სამუშაოდ ყოველთვის ერეკებიან, როცა ამისათვის მოხერხებულ დროს შეარჩევენ, ხოლო გაკეთებულ გზას-კი,

---

იმის გარშემო სიბნელეს მცირეოდნად მაინც გაჰფანტავდა, მაგრამ მალე დაინახა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო; შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, ეს ოცნებაც უნდა გამქრალიყო. ცხოვრებამ თავისი მოითხოვა; ზოსიმე თუ ხალხს სჭირია, ხალხის დახმარებაც საჭიროა მისთვის; სიღარიბით სულ შეხუთულ ხალხს-კი თავისის საკუთარი თავისთვისაც ვერ შემოუვლია, სხვისთვის სადა სცხელა? ის მოძღვარს იჭვის თვალით უყურებს და დარწმუნებულია, რომ ზოსიმეს „წაგლეჯაზედ აქვს თვალები გამოპრაწული, ხალხთან დაახლოვებას იმისთვის სცდილობს, რომ იმათ სარჩოზედ იწყოს ცხოვრება“... აი, თავიდგანვე რა გვარი ურთიერთობა დამყარდა მოძღვარსა და სამწყსოს შუა:

— ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ამბობს კიმოთე გლეხი: ძლივს სული გვიდგია ტანში, ჩვენ საგისაგან მოველით შველასა და დახმარებას, ჩვენის გაჭირვების გაადვილებას—და ამის მაგიერათ ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლად ჩვენ გვიხდება და შესანახავად... ჩვენც ცოდვანი ვართ!

— მართალია, მართალი! მოისმა აქეთ-იქიდგან ხმები ამ სიტყვებზედ.

მწარედ ჩაფიქრებული ზოსიმე სწორეთ შეხედავს ცხოვრებას, თავისს მდგომარეობას და დაინახავს, რომ ის არის „უბინაო, ღატაკი, ღატაკებით გარშემოხვეული, რომელთ ნაოფლარითაც თავი უნდა ერჩინა—საიდან, რა გზით უნდა დაბადებულიყო ნდობა, სიყვარული, თანაგრძნობა მათ შორის?“ ზოსიმე მზად არის იტიროს, რადგანაც კარგადა ჰგრძნობს, რომ ასე უნდა იყოს სიკვდილამდის, ასე ძულებაში უნდა დალიოს თავისი წუთის სოფელი თავისდა უნებურად, თავისდა გულ-საკლავად. ცხოვრება საუკეთესო პრაქტიკაა, მან მალე აუხილა ზოსიმეს თვალები, მალე დაუმტკიცა მისის ოცნებების უნიადაგობა, განუხორციელებლობა და საბრალო მოძღვარს თვალ-წინ დაეხატა მთელი თავისი უძლურება და უსაშუალობა. მწარე ფიქრებში გართულს ზოსიმეს წინ შეხვდება სოფლის მღვდელი, რომლის ერთად-ერთ საზრუნავსა და საფიქრებელს „ბურუხუნა კანჭიანთები“ შეადგენს და ზოსიმეს იდუმალი ხმა ჩასძახის: „ზოსიმე, აი შენის მომავლის გამოხატულება, შენც ასეთი ბოლო მოგელისო“. ზოსიმე ინახულებს ავადმყოფის გლეხის ოჯახს და პირველი ფეხის შედგმისათანავე უმეცრება, სიღარიბე და სილატაკე ეგებება წინ. ზოსიმე აქაცა ჰგრძნობს თავისს უძლურებას: იმის თვალ-წინ ავადმყოფები უმწეოდ იხოცებიან და იმას არავითარი შველა არ შეუძლია. მოვა ზოსიმე თავისს საკუთარ სახლში,—აქაც სიღარიბე, აქაც სილატაკე ეგებება წინ ნუგეშისა და იმედის მაგიერად და სრულიად რწმუნდება, რომ მისი ოცნებობა უნიადაგო იყო, მისის მომავლის გამოხატულება-კი მართლა მიხეილა ხუცესი ყოფილა, რადგანაც იმას ცხოვრება უნდა, ცოლშვილი თავს ახვევია და რითი არჩინოს ოჯახი, თუ არ ღატაკის ხალხის ნაოფლარით? არ წაბაძავს მიხეილა ხუცესს? რა მოაგვაროს თავისის თავისისათვის, ცოლისთვის, შვილებისთვის, რომლებსაც დედა უქმე დღესაც კი ვერ აცმევს რიგიანს ტანისამოსს: დაჰხევენ და მერე რაღა ჩავაცვაო.—„დროა ოცნებას თავი დაანებოვო, ეუბნება ზოსიმეს იგივე იდუმალი ხმა: კი უნდა გამოპრაწო თვალები, თორემ ვერც სხვას წაადგები და შენ თავსაც ავნებ! დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიო, იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ“. ყოველმავე ამან გული მოუშხამა ახალგაზდა მოძღვარს, ყოველმავე ამან ნათლად დაანახვა, რომ ოცნება სხვა არის, ცხოვრება სხვა.

რა ჰქმნა ბოლოს ზოსიმემ? იმან გაიმარჯვა თუ ცხოვრებამ? რა უნდა ექმნა?! შეურიგდა ბედს,—ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი ურიგდება. ზოსიმე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია და როგორ შეუძლიან ცხოვრებას გაუმკლავდეს, ქედი არ მოიხაროს და ბოლომდე თავისი გაიტანოს? მშიერის კუჭით მშიერ ხალხს ზოსიმესთანა ადამიანი ვერ ემსახურება. ავტორს შეეძლო, არა ჩვეულებრივის ხასიათით, ნიჭითა და მხნეობით დაეჯილდოვებინა ზოსიმე: ის შეებრძოლებოდა ცხოვრებას, ქედს არ მოიხრიდა, ან თავისას ამჯობინებდა, ან არა-და ბედს არ დაუთმობდა, ზედ შეაკვდებოდა; მაგრამ მაშინ ჩვენთვის იმდენად საყურადღებო არ იქმნებოდა, იმდენად არ მოგვხვდებოდა გულს, როგორც ახლა: ხასიათის გასაოცარ სიმტკიცეს და თავდავიწყებას ბუნება მხოლოდ რჩეულთ აძლევს, ჩვეულებრივს ადამიანს ვერც მისი საკუთარი თავი და ვერც სხვა ვერ დასძრახავს და ვერ გაჰკიცხავს, რომ ამგვარ რჩეულ ადამიანებსავით ვერ მოიქცეს ცხოვრებაში; უმეტესი ნაწილი ზოსიმესა ჰგავს, სხვისი სამსახური მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როცა ბუნებრივი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული აქვს; ზოსიმეს უსაშუალო მდგომარეობა უმრავლესობის უსაშუალობაა, მისის სულის კვეთება უმრავლესობის სულის კვეთება არის, ამიტომ ხვდება ის გულს, ამიტომაც გვაღელვებს და გვაგრძნობინებს სრულიად თავისის საკუთარ გულის ვარამს.

უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალ-გაზდობისა ზოსიმესავით ოცნებობს გატაცებული; ხალხი, სამშობლო, აი, რა არის მუდამ იმის გონებაში გამოხატული; მამულის სამსახური,—აი რა შეადგენს მისის მომავალ ცხოვრების საგანს. მაგრამ, ჩასდგამს თუ არა ცხოვრებაში ფეხს, ყოველ ნაბიჯზედ იმ გვარი სურათები უხვდება, იმ გვარს მდგომარეობაში ვარდება, როგორც ზოსიმე. ეს სურათები და მათგან აღძრული ფიქრები

როგორც მოგახსენეთ, ვერა ვხედავთ. რატომ? იმიტომ, რომ „გაკეთებული“ გზა ჩვენის ჩლუნგი მიხვედრილობით და ქვეყნის პატრონთა გამჭრიახობით სულ სხვა და სხვაა. ჩვენ გაკეთებულ გზად მიგვაჩნია ადგილ-მდებარეობის მიხედვით ცოტაოდნად მაინც გავაკებული და მოკენჭილი გზა; ხოლო ისინი სრულიად საკმაოდ სთვლიან, უკეთუ გზას ორისავე მხრით თხრილები ამოუწმინდეს, ე. ი. თუ თხრილებში მოთავსებულ ტლაპოსა და სხვა თვალის და ყნოსვისათვის სანუკვარ რამეებს გზაზე უჩინეს ბინა. აქა-იქ იმდენ გულმტკივნეულობასაც იჩენენ, რომ საგზაო ადგილს გზის სისრულისა თუ სისწორის გულისთვის სთხრიან და ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს გზის ატალახიანებას. ხოლო გზის მოკენჭვა და ისეთ წესრიგში მოყვანა, რომ კაცს მისვლა-მოსვლისათვის გამოადგეს, არავის ფიქრად არ მოსდის.

რომ კიდევაც იფიქრონ ეს, უეჭველია, მარტო გლეხებს გაირეკენ წინ და უპირატესობა-მინიჭებულ წოდებას ის-ღა დარჩება საქმედ, რომ გაკეთებულს და მზა-მზარეულს გზაზედ არხეინად იბაკუნოს. ამ შემთხვევაში სწორედ საბრალონი არიან გლეხები, რომ მთელის სოფლისათვის საჭირო გზას მარტო იმათ აკეთებინებენ, თითქო სოფელს მარტო გლეხები შეადგენდნენ. არ მესმის და ვერ გამიგია, თავად-აზნაურთა და სასულიეროთა რა მოსაზრებით და საბუთით არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ საერთო საქმეში! სასოფლო გზის კეთება, ვინც-კი სოფელში მოსახლე-კარობს და ვისაც-კი შერჩენია კაცურ-კაცობის და ადამიანურ ურთიერთობის ნიშან-წყალი, განურჩევლად წოდებისა, ყველამ უნდა იგულისმოდგინოს, ყველამ სავალდებულოდ უნდა გაიხადოს. რა ვუყოთ, რომ კანონში არ იყოს ეს ასე გადაჭრით და გარკვევით მოხსენებული! კანონში, მაგალითად, არც ცხვირის მოხოცვის შესახებ არის რამე ნათქვამი. არ არის დაკანონებული, რომ ცხვირი მარტო გლეხებმა მოიხოცონ და სხვა წოდების კაცმა ამაზედ არა იზრუნოს რაო, მაგრამ, როგორც უწყით, არც ერთი ჭკვათამყოფელი კაცი არ იტყვის, რომ ეს საქმე არ არისო, ამას კანონი არ მავალებსო. სასოფლო გზაც იგივე ცხვირია, მხოლოდ საერთო ცხვირია, რომლითაც მთელი სოფელი ჰსუნთქავს და ცოცხლობს და ამ ცხვირის წესიერად შენახვისათვის თითოეული წევრი სოფლისა თანასწორად უნდა ირჯებოდეს, თანასწორად უნდა ჰშრომობდეს. აქ კანონი, ბოქაული, ძალ-დატანება და მათრახი გარეწარსა და გაცუდლუტებულს კაცს თუ დასჭირდება, თორემ, ვიმეორებ, კაცურ კაცისათვის საჭირო არ უნდა იყოს. ხოლო უკეთუ ამ შეგნებითა და მიხვედრილებით ვიხელმძღვანელებთ და სასოფლო გზებს ყველა წოდებისანი თანასწორად შეუდგებით საკეთებლად, მალე მტერი დაგვიმარცხდეს, მალე ჩვენ ძლევა-მოსილნი გამოვიდეთ ამ გაჭირვებიდგან.

კნინი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ქედა**, (ქვედა აჭარა). ჩვენში ზამთარი ღვინობისთვის დამლევს დაიწყო, ასე რომ სოფლელებს ნამუშევარი შეუნახველი დაურჩათ, საზამთროდ შეშისა და ჩალის შენახვაც ვერ მოასწრეს, გეგონებათ, ეს თოვლი ადნებაო და მაშინ შევინახავთო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, თოვლი არა თუ არ ადნა, თან და თან მეტი მოვიდა, როგორც სოფლისა, ისე სახელმწიფო გზები შეიკრა და მისვლა მოსვლა შესწყდა. თოვლი ერთს საჟენზედ მეტი მოვიდა. პირველ თებერვლიდგან დაიწყო თოვლმა დნობა და ჯერაც არის. ახალციხისა და ბათუმის სახელმწიფო გზა ისე გაფუჭდა, რომ რაც შარშან გააკეთეს, სულ დაიქცა; ზოგან ისეთი დიდი კლდე მოსკდა, რომ კაცს შიშის ზარს მოჰგვრის. ს. კოკოტაურში 16 თებერვალს შემდეგი ამბავი დატრიალდა. მეკლუდ მურად ოღლის მტრობა ჰქონდა უსტა-მემედ ალის შვილებთან, რომლებმაც მოუკლეს ბიძა, მეკლუდა სისხლს ეძიებდა, 16 ამ თვეს შუა დღისას გადაეღობა გზაში უსტა-მემედ-ალის შვილს ომერას, რომელსაც თან იარაღი არ ჰქონდა, მეკლუდამ უთხრა, მოგკლა, თუ არაო?.. ომერამ მიუგო: შენი ნება არის, თუ გინდა მომკალი, მე უიარაღო ვარ და ხომ იცი, ვერ გაგიმაგრდებიო, მეკლუდამ არ დააცალა სიტყვის გათავება, ესროლა თოფი და იქავე სული დალევია.

შარშან გაზაფხულზედ, როგორც „ივერია“-შიაც იყო მოხსენებული, ქვედა აჭარის მცხოვრებლ ბ-ნ თეოფილე ერქომაიშვილის თაოსნობით თხოვნა მივართვით სამრევლო სკოლების ინსპექტორს ეკტიხი მამინაიშვილს და ვთხოვეთ შუამდგომლობა დაეწყო მთავრობის წინაშე სახელმწიფო სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ ს. ქედაში. აგერ ერთი წელიწადი მიდის და ჩვენის თხოვნის არაფერი ისმის. რა უყვეს ჩვენს თხოვნას, სად უკრეს თავი, არ ვიცით, ზოგნი დღესაც ჰკითხულობენ, თუ უარი გვითხრა მთავრობამ, გაგვაგებინოო. დაბა ხულაში 1897 წლის 1 სექტემბრიდგან დააარსა მთავრობამ ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რასაკვირველია, ეს დიდი სიკეთეა ზეგნელებისთვის, მაგრამ ქვედა აჭარამ რა დააშავა ნეტა?.. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ ამისთანა სასწავლებელი ჯერ სოფელ ქედაში დაეარსებინათ და შემდეგ ხულაში. აქაური ხალხი უფრო მიმხვდარია სწავლის საჭიროებას და უფრო სწყურიათ სწავლა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

---

## თეატრის მატიანე

„კინი“—კომედია 5 მოქმედებად.

პარასკევს, 20 მარტს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, სუფლიორის გალუსტოვის სასარგებლოდ, წარმოდგენა გამართა. ითამაშეს დიუმამამის 5 მოქმედებიანი პიესა „კინი“. ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამის მიზეზი ნიჭიერი არტისტი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი იყო, რომელიც წელს ქუთაისში თამაშობდა და 20 მარტს პირველად გამოვიდა ტფილისის ქართულს სცენაზედ. საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება საყვარელ არტისტს და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა. არტისტმაც არ უღალატა საზოგადოების მოლოდინს და თავისი როლი ჩვეულებრივ ნიჭიერად და ხელოვნურად ჩაატარა. აქ ჩვენ პიესას დაწვრილებით არ განვიხილავთ: იგი ყველასათვის ცნობილია და გარდა ამისა, არა ერთხელ და ოჯელ წარმოუდგენიათ ქართულს სცენაზედ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პიესაში გამოყვანილი უმთავრესის გმირის კინის როლი ერთ უძნელესს როლად არის აღიარებული. ამ როლის წარმოდგენა შეუძლიან მხოლოდ მართლა ნიჭიერს, ჭკვიანს და დიდის ხნით სცენაზედ დახელოვნებულ არტისტს. მთელი პიესა ამ ერთის გმირის ხასიათისა და მოქმედების აღნიშვნასა და დახატვაზედ არის აკინძული და აგებული, ასე რომ დენარჩენი მომქმედნი სრულიად არაფერს წარმოადგენენ და უფრო ამ უმთავრესის გმირის დასასურათებლადა და დასახასიათებლად არიან გამოყვანილნი. მესხიშვილის მშვენიერი თამაშობა უფრო უკეთესი გამოჩნდებოდა, რომ ზოგიერთ წვრილმან არტისტებს ხელი შეეწყოთ და საზოგადოდ ანსამბლი უკეთესი ყოფილიყო. მეტად ცუდად ჰმოქმედებს მაყურებლებზედ, როდესაც არტისტი ნიჭიერად თამაშობს რომელსამე ადგილს და იმავე დროს იქვე მდგომმა მეორე არტისტმა არ იცის, სად დამალოს ხელი, საით გაიაროს, როგორ მოტრიალდეს და სხვა. განსაკუთრებით კარგა ჩაატარა მესხიშვილმა მესამე მოქმედებაში სცენა ლორდ მელვინთან. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პატივცემულ არტისტს შარშანდელთან შედარებით ხმა უფრო მოჰკეთებია. დანარჩენ არტისტებ შორის კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნმა ავალიშვილისამ და ბ-ნმა გედევანოვმა, რომლის თამაშსაც დაკვირვება და მეცადინეობა ეტყობოდა. არა უშავდა რა აგრეთვე კანდელაკსა და დადიანს.

ი.

---

## ქართველი მოღვაწე უცხოეთში.

რა სამსახური გაუწია საქართველომ კაცობრიობას საშუალო საუკუნოებში ქრისტიანობის მედგრად დაცვით, ცოტად თუ ბევრად მკითხველისთვის ახალი ამბავი არ არის. მაგრამ ის მოღვაწე, რომელიც ჩვენ სახეში გვყავს ამ ჟამად, სრულიად უცნობია იმისათვის. მეჩვიდმეტე საუკუნეში ვალლახიაში (ვლახეთში) სცხოვრობდა ფრიად ცნობილი ქართველი სასულიერო წოდების კაცი ანთიმი, რომელსაც ადგილობრივ მწერლობაში უწოდებდნენ „Antim Ivireanel“, ესე იგი „ანთიმ ივერიელი“. 1705 წელს იგი ეკურთხა რამნიკის მღვდელ-მთავრად და 1709 წ. დაინიშნა თავადის კონსტანტინე ბასსარაბ ბრანკოვანის მიერ ვლახეთის ეპისკოპოზად. გარდაიცვალა იგი მოულოდნელად: დაირჩო თუ დაარჩეს მდინარე მორიცში, როდესაც იგი ამ მდინარეს გადიოდა თავისის სინაის მთაზედ განდევნის შემდეგ. ამ ანთიმს საფუძვლიანად სცოდნია რუმინული, ბერძნული, სლავიანური, ოსმალური, არაბული და, რა თქმა უნდა, ქართული ენა. იმან დააარსა სტამბა რამნიკში, შემდეგ ტარგოვისტში და სნეაგოვში ბუხარესტის ახლოს. ამ სტამბებში ალბეჭდა მან მრავალი წიგნი ზემოხსენებულ ენებზედ. თვით საუცხოვო მხატვარი ყოფილა: თავისის ხელით გამოუჭრია ახალი ასოები, ინიციალები და ორნამენტები. მისი სახელი და მოღვაწეობა იმდენად განითქვა, რომ ბუხარესტი გახდა აღმოსავლეთისთვის წიგნების გამოცემის დედა-ბოძად. ათანასე ანტიოქიის პატრიარქის სურვილით მან აღბეჭდა 1701 წ. სნეაგოვში ბერძნულ-არაბულად საეკლესიო კონდაკი. ამ წიგნის სათაურში იგი თავისს თავს იხსენიებს ქართველად. ანთიმის მიერ ჩამოსხმული ასოები თავადმა ბრანკოვანმა გაუგზავნა პატრიარქს ალეპპოში და ეს ასოები გახდა საფუძვ-

---

ზოსიმესავით უკლავს გულს, ჭეშმარიტ შეხედულობას აძლევს ცხოვრების შესახებ და ეუბნება: ოცნება სხვა არის, ცხოვრება სულ სხვაო, „აწი ყოველივე ოცნებაზედ ხელი უნდა აიღო და იცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრებენო“. მას არ უნდა, არ შეუძლიან სხვებსავით იცხოვროს. განა ის არ იყო, ამ „სხვებს“ რომ ჰკიცხავდა, ჰლანძღავდა და აგინებდა? იმათს ცხოვრებას პირუტყვულს ცხოვრებას უძახდა? როგორ?! განა იმანაც „სხვებსავით“ უნდა იწყოს ახლა ცხოვრება? ამოიოხრებს მწარედ, ცრემლებსაც დაჰღვრის ზოსიმესავით, ცხოვრება-კი თავისას იზამს; გარეთ სილატაკე, შინ სილატაკე საბოლოოდ მოჰქნის, შეურიგდება ბედს ზოსიმესავით და იწყებს ცხოვრებას იმ მიხეილებ შორის, რომლებიც წინად თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. კიდევ მადლობა ღმერთს, თუ სულ იმათ არ დაემზგავსა.

ჩაუკვირდით ამ მიხეილებს, გამოჰკითხეთ წარსული და დარწმუნდებით, რომ ბევრი მათგანი სიყმაწვილეში, სანამ პირის პირ შეხვდებოდნენ ცხოვრებას, ზოსიმეზედ ნაკლები არ იყვნენ, ზოსიმესავით ოცნებობდნენ, იმედით აღვსილის გულით მოისწრაფოდნენ ცხოვრებაში, ხალხში, მაგრამ გარეთ სილატაკემ, შინ სილატაკემ სხვა მიმართულება მისცა იმის ცხოვრებასა და მისწრაფებას; გაიბრძოლეს ერთი ზოსიმესავით და საბოლოოდ შეურიგდნენ ბედს, რომ შეუმჩნევლად, სხვის გამოუსადეგრად გაეტარებინათ თავისნი დღენი. ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიდის; გაჭირვებულთა რიცხვი თუ ჰმატულობს, თორემ არა ჰკლებულობს. ცალიერი ოცნებაა მომავალში საზოგადოებრივი და საერთაშორისო ცხოვრება-დამოკიდებულების ისე გარდაქმნა, რომ უმეტესობას ლუკმა პური უზრუნველ ყოფილი ჰქონდეს: უმეტესობა მუდამ შიმშილს ებრძოდა, ებრძვის და მომავალშიაც იგივე ელის. ძველი თაობა წავა, ახალი დაძველდება, სხვა ახალი თაობა აღმოცენდება, მაგრამ უმეტესი მათგანი, რაც უნდა სიმპატიური აზრი ჰქონდეს გამოხატული, ცხოვრებაში ზოსიმესავით იგრძნობს სრულს უმწეობას, დარწმუნდება, რომ გარშემო სილატაკე, ოჯახში სილატაკე, მისის აზრების განხორციელებას შეუძლებლად გაჰხდის, ზოსიმესავით ჩამოჰყრის უიმედობის ცრემლებს, გამოეთხოვება სამუდამოდ თავისს ოცნებებს და ბედს შეურიგდება.

ბევრს ცხოვრებაში გასულს ჩააფიქრებს ზოსიმე, მოაგონებს თავისს სიყმაწვილეს ტლანქ მატერიალურ აწმყოს თუ არ შეაძულებს, მცირე ხნობით მაინც დაავიწყებინებს და დაუბრუნებს იმ ძვირფასს წარსულს, როცა ის ჯერ ისევ სემინარიაში მყოფ ზოსიმესავით ოცნებებს შეჰხაროდა და მათ რეალურად განხორციელებას სრულიად დარწმუნებული იყო. ბევრჯერ ცხოვრებაში გამოუსვლელს, ააშფოთებს ზოსიმეს სულის კვეთება, რადგანაც დიდ მზგავსებას ჰპოებს თავისს თავსა და მას შორის. ბევრს დაუნაღვლიანებს გულს ზოსიმეს მდგომარეობა, რადგანაც ნათლად დაინახავს, რომ მომავალში ისიც იმავე გარემოებათ შორის მოექცევა ცხოვრების სარბიელზედ, როგორც ზოსიმე. ბევრი იტყვის: ვაი თუ მეც ზოსიმესავით ჩამოვყარო სასოწარკვეთილების ცრემლები და ბედს შევურიგდეო. ამგვარმა ფიქრებმა შეიძლება ზოგს მაინც მონახვინოს რაიმე საშუალება, რომ მცირეოდნადაც არის აიცილოს ზოსიმეს მდგომარეობა ცხოვრებაში. აი, ეს მიმაჩნია ამ პატარა სურათის მნიშვნელობადა და სარგებლობად.

ავტორს ისეთი ნიჭი აქვს, რომ ერთის კალმის მოსმით შეუძლიან ამა თუ იმ გმირის დახასიათება; იმგვარად და ისეთ სიტყვას ათქმევინებს, რომ ეს ერთი სიტყვა შეგატყობინებთ მთქმელის მთელს ხასიათს, მისწრაფებას, ავ-კარგიანობას და ცხოვრების საგანს. ამგვარია პეტრია „სტოროჟი“, რომელიც ცხოვრებიდგან ცოცხლათ არის ამოღებული, და მიხეილა ხუცესი, რომელიც ნამდვილი ტიპია, გასაოცარი სარკე, რომელშიაც ყველა ჩვენის სოფლის ძველებურ მღვდელს დაინახავთ. ეგნატე ნინოშვილის შემდეგ დავ. კლდიაშვილი ჩვენ ახალგაზდა ბელეტრისტთა შორის ყველაზედ უფრო ადგია რეალურ გზას. ის წინდაწინ არავითარის იდეით არ იჭურვება, ობიექტიურად გვიხატავს ჩვენს ცხოვრებას; ეს საუკეთესო გზა არის ბელეტრისტისათვის: ცხოვრება უთავბოლოდ და უაზროდ არ მიმდინარეობს, ისიც უტყუარ ბუნებრივს კანონებს ემორჩილება, იქაც არის აზრი და იდეა. ხოლო ნიჭის დანიშნულება ის არის, ისეთი ტიპიური ფაქტები და მომენტები ამოიღოს ცხოვრებიდგან, რომ ესა თუ ის აზრი და იდეა თავისთავად, ძალდაუტანებლად გამოსჭვირდეს. დავ. კლდიაშვილს ასეთი ნიჭი აქვს, თუმცა ჯერ-ჯერობით რომანტიზმის ზოგიერთი უბრალო ელემენტი ვერ მოუშორებია, უყვარს ეფფექტით სავსე, გულშემზარავი სურათები, რომლებიც მკითხველის გრძნობაზედ უფრო ჰმოქმედებს, რასაც მოთხრობის უკანასკნელი სურათი ამტკიცებს. ჩვენში, სადაც საზოგადოება თითქმის ახლა იმაგრებს ფეხს, სადაც ჯერ ყველა თავისის თავისათვის სცხოვრებს, საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას არ იცნობს და არ ეტანება, ამგვარის ნიჭისა და მიმართულების მწერალი დაუფასებელია, რადგანაც გვაცნობს ჩვენს ცხოვრებას, გვითვალისწინებს იმისს ცვლილება-მიმდინარეობას, გვიბადავს საზოგადო ინტერესს, ნელ-ნელა გვატოვებინებს განკერძოებულად, თავისის თავისათვის ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის მოთხოვნილებას გვიღვიძებს.

ივ. გომართელი

ლად საქრისტიანო სტამბისა აღმოსავლეთის მხარეს.

ამ ანთიმმა ამოსჭრა და ჩამოასხა ქართული საეკკლესიო ასოები, რომლითაც აღბეჭდა ქართული კონდაკი და გაჰგზავნა სამშობლოში. როგორც არაბული სტამბა გადატანილ იქმნა ალეპპოში, აგრეთვე ქართულ წიგნთან ერთად მან გაგზავნა ქუთაისში ასოები და მათი ამწყობნი ბუხარესტში მისგან გაწრთვნილნი. აი, ამ გარემოებით აიხსნება ის საკვირველი და აქამდის გამოურკვეველი გარემოება, რომ ვახტანგ მეფემ ვლახეთით მოიყვანა ქართულის წიგნების აღმბეჭდავნი. ქართული ასოები და ამწყობნი უკვე ვახტანგის თანამედროვე ანთიმმა ვლახეთში გაწვრთნა და, რასაკვირველია, მეფემ კარგად იცოდა ეს სასიამოვნო ამბავი და ამიტომ მიჰმართა ვლახეთს და არა მოსკოვს, თუმცა კავშირი მოსკოვთან უფრო მტკიცე იყო, ვიდრე ვლახეთთან. აქ მოყვანილი ცნობა დამყარებულია ვენის აღმოსავლეთის ერთა ჟურნალში დაბეჭდილს წერილზედ.

ა. ხახანაშვილი

# რუსეთი

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიწყნარა სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს პირუტყვთა გამოფენა იქმნას გამართული ქ. პენზაშიო.

— გზათა სამინისტროს მიერ გამორკვეულ ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1897 წელს რუსეთის რკინის გზებით ყველაზედ მეტი ხორბლეულობა საზღვარ-გარეთ გასატანად შავის ზღვისა და აზოვის ნავთ სადგურებში მიუტანიათ, სახელდობრ, 161,768 და ბალტიის ზღვის ნავთსადგურებში-კი—155,820 ვაგონი ხორბალი. მიუტანიათ აგრეთვე ხორბალი ავსტრიისა და გერმანიის საზღვრებზედ მდებარე ქალაქში 92,182 ვაგონი.

— მთლად რუსეთის იმპერიაში ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში 4,766 განქორწინება მომხდარა.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ამ ზაფხულს ხელი მიჰყოს საბუნებისმეტყველო-საისტორიო, სასოფლო-სამეურნეო და საეკონომიო აზრით მთლად რუსეთის ნიადაგის გამოკვლევას.

# უცხოეთი

**ისპანია და შეერთებული შტატები.** გაზეთების სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების ის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამხედრო გემის „მენ“-ის აფეთქების მიზეზის გამოკვლევა, იმ აზრს დაადგა, რომ ხსენებული გემი გარედგან არის აფეთქებული. შტატების პრეზიდენტი ჯერჯერობით არავითარ დაკმაყოფილებას არ მოსთხოვს ისპანიას, მხოლოდ იმის მთავრობას კომისიის დასკვნას გაუგზავნის და დაიცდის, რას იტყვის ამაზედ ისპანიაო. ისპანიის გაზეთები სწერენ, რომ „მენ“-ის აფეთქების საქმის გარჩევა შეიძლება სამედიატორო სამართალს მიენდოსო. რადგანაც ინგლისი მოწადინებულია შეერთებულ შტატებს დაუახლოვდეს, ამიტომ სასურველია ინგლისი არ იქმნას არჩეული ერთ-ერთ მედიატორეთაო. გაზეთების სიტყვით, უკეთესი იქნება ეს საქმე შვეიცარიას, ბელგიას ან შვეციას მიენდოსო. ისპანიელებს იმედი აქვთ, რომ გემის აფეთქებას უუბის საქმეს არ დაუკავშირებენ. ამავე დროს როგორც ისპანია, აგრეთვე შეერთებული შტატები შეიარაღებასა და სამხედრო მზადებას თავს არ ანებებენ. გაზეთები იუწყებიან, რომ ჰავანნში უკვე შეუდგნენ სანაპირო ადგილების გამაგრებასაო. ჰავანის ნავთსადგურში მრავალი სიმაგრე აუშენებიათ და მრავალი იარაღი დაუწყვიათ ამ სიმაგრეებში. შეერთებული შტატების მთავრობაც ყოველ ღონეს ღონობს, რომ თავისის სახელმწიფოს ზღვის ნაპირის ადგილები გაამაგროსო.

**იაპონია.** იაპონიის მთავრობამ ამას წინად 193 მილიონი იენი გადასდო ახალის გემების ასაგებად, რომელთა შორის 47 გემი უკვე შენდება ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და ამერიკაში.

**გერმანია.** ამ რამდენისამე დღის წინად შესრულდა სამოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც „რკინის კანცლერმა“ ბისმარკმა სამხედრო სამსახური დაიწყო. ამ დღეს გერმანიის გაზეთებმა კრცელი წერილები დაჰბეჭდეს, რომელშიაც დაწვრილებით აღწერეს ბისმარკის სამხედრო სამსახურის პირველი წლები. საერთოდ-კი, როგორც იუწყებიან, ამ სამოცის წლის იუბილეის მეტად მკრთალად და უფერულად ჩაუვლია. გაზეთებისა და იმპერატორის გარდა ბისმარკი თითქმის არავის არ მოჰგონებია. ამ დღეს ფრიდრიხსრუეში, სადაც ბისმარკი სცხოვრობს, მხოლოდ იმის ნათესავებს მოუყრიათ თავი. თვით ბისმარკი ამ ბოლოს დროს მალიან სუსტად არის თურმე, სიარული უჭირს და უმეტეს ნაწილად შინა ზის. ბისმარკი განსაკუთრებით იმპერატორის მილოცვას გაუხარებია.

**საფრანგეთი.** გაზეთები იუწყებიან, რომ მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფს, რადიკალთა ოპპოზიციის მეთაურს ლეონ ბურჟუას პალატის ბიუროში ახალი კანონის პროექტი შეუტანია, რომლის ძალითაც ქალებს ნება უნდა მიეცეთ იურიდიულ მეცნიერების მთელი კურსი მოისმინონ, შემდეგ ფიცი მიიღონ და ვექილობა აასრულონ.

— მთავრობის განკარგულებით სამართალში იქმნა მიცემული გაზეთის „Ant“-ის რედაქტორი რეჟისი, იმის გამო, რომ მან ანტისემიტთა კრების დროს პარიჟში სასტიკი სიტყვა წარმოსთქვა ურიების წინააღმდეგ და შემდეგ მონაწილეობა მიიღო იმ არეულობაში, რომელიც ალჟირში მოხდა ურიებისავე წინააღმდეგ. ხსენებული გაზეთი ალჟირში გამოდის და რეჟისიც იქ სცხოვრობს. 10 მარტს ალჟირის მოსამართლემ დაიბარა რეჟისი და გამოჰკითხა, შემდეგ მთავრობის განკარგულებით ჟანდარმებმა დაიჭირეს და საპატიმროში ჩასვეს. როდესაც რეჟისის დაპატიმრების ამბავი გავრცელდა, მთელი ქალაქი ფეხზედ დადგა. აურელი ბრბო, რომელშიაც 800 კაცი მეტი იქმნებოდა „შორს ჩვენგან ურიები“-ის ყვირილით იმ ქუჩისაკენ გაემართა, სადაც ებრაელთა გაჭრები სცხოვრობენ და იმათს სახლებსა და მაღაზიებს კარები და ფანჯრები ჩაუმტვრია. ბრბო იმდენად გამრავლდა, რომ მოსულმა ჯარმაც ვერაფერი გააწყო და მანიფესტანტები ვერ გაჰფანტა. ბრბო ხმა მაღლა თხოულობდა რეჟისის განთავისუფლებას. ბოლოს სხვა ჯარი და პოლიციელებიც მოვიდნენ და როგორც იყო გაჰფანტეს მანიფესტანტები. ამავე დღეს ქალაქის თვით-მმართველობის რამდენმამე წევრმა და საბჭოს პრეზიდენტმა სთხოვეს ბრალმდებელს რეჟისის განთავისუფლებაო, მაგრამ ბრალმდებელმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. პოლიციამ 12 კაცი დააპატიმრა. გაზეთების სიტყვით სხვა ქალაქებშიაც მომხდარა მანიფესტაციები ებრაელთა წინააღმდეგ.

# ნაკვესი

ერთი გურული ჯორით მოდიოდა შინ. როცა თავისს ჭიშკართან მიაწია, ჯორმა უკვინტა და ძირს ჩამოაგდო. უნდოდა ეცემა, მაგრამ ვიდრე ის წამოდგა, ჯორი გარბოდა და რაკი დარწმუნდა, ვეღარ დავეწევიო, მიაძახა უკან:

— კაი წაგიხთა, აქანაი მაინც ჩამოხტომა მინდოდაო!..

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, რომელიც პარიჟში მომხდარა.

ვიღაც ექიმბაში სამართალში მისცეს იმის გამო, რომ ავადმყოფებს სწამლობდა და ამისათვის არავითარი უფლება არა ჰქონია. საქმის გარჩევის დროს გამოჩნდა, რომ ეს ექიმბაში მართლა დამნაშავე ყოფილა. პოლიციას მიუგნია იმის სახლისათვის, სადაც საიდუმლოდ სწამლობდა ავადმყოფებს. „რას იტყვით თქვენის თავის გასამართლებლადაო“,—ჰკითხა თავმჯდომარემ. ბრალდებულმა პასუხის მაგიერად ამოიღო ჯიბიდგან აკადემიის მიერ მიცემული მოწმობა მკურნალისა და აგრეთვე კვიტანცია იმისი, რომ მკურნალზე დაწესებული გარდასახადი შეტანილი ჰქონდა. მსაჯულებმა გასინჯეს ეს საბუთების ქაღალდები და აღმოჩნდა, რომ ბრალდებული მართლა მკურნალი ყოფილა და სწავლა დაუმთავრებია პარიჟის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე. მსაჯულებმა ბოდიში მოითხოვეს ბრალდებულის წინაშე.

სასამართლოს თავმჯდომარემ ვერ მოითმინა და ჰკითხა მკურნალს, რად იქცეოდით ისე, რომ თქვენზედ პოლიციამ ეჭვი შემოიტანა, რადა სწამლობდით ჩუმადა და საიდუმლოდ ავადმყოფებს, როდესაც აშკარად წამლობისათვის ნებაცა გაქვთ და სრული უფლებაც. მკურნალმა უპასუხა, მიზეზი სულ უბრალო გახლავთ. დღისით ჩემს სახლში ვასრულებ მკურნალის თანამდებობას. სახლში გამართული მაქვს კაბინეტი. კარებს აწერია: აქ მკურნალი სცხოვრობს და ამა და ამ საათში შეიძლება იმის ნახვაო. მაგრამ მაინც არავინ მოდის ჩემთან. მეტი გზა არა ჰქონდა, სხვა რამ საშუალება უნდა მომენახა. დავიქირავე სახლი ერთს მიყრუებულს ალაგას და ჩუმადა ვსწამლობდი ავადმყოფებს. აქ-კი ბევრი ხალხი მოდიოდა. ჩემი ბრალი არ გახლავთ, რომ ხალხს ძლიერ უყვარს ყოველივე საიდუმლოება და გარდა ამისა უსწავლელ ექიმბაშებს უფრო ენდობა, ვიდრე ნასწავლს მკურნალს.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი: „რა არის ხარკი?“, თარგმანი ი. გ—რისა, ი. იმედაშვილის მიერ გამოცემული. წიგნაკი სუფთად არის დაბეჭდილი, 30 გვერდს შეიცავს და ღირს ერთი შაური.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 221 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 99¾ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 283½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 248 | — „ | — „ |

### „ივერიის“ ფოსტა

**მ. ნ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**მასიკელას.** თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

**ს. ნ—თი. ვ. მ—იას.** სამართლიანად უწოდებთ „ჭორის ფურცელს“, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არც დრო, არც ალაგი და სურვილი გვაქვს ამ გაზეთის ჭორებისა და უკუღმართობის აღნიშვნისა. ამ მიზეზით თქვენს წერილსაც არა ვბეჭდავთ, როგორც მრავალს სხვას, ამ გაზეთის სიცრუის გამომამჟღავნებელს.

**ძ. ს—მი. ვინმე სტუმარს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. დ—თი. ი. წ—ძეს.** თქვენი წერილი დაგვიანებულია.

**სოფ. ვაკათუბანი. ვარძიელს.** არ დაიბეჭდება.

**ედემიძეს.** თქვენი წერილი იმ გაზეთს წარუგზავნეთ, რომელმაც ეგ ახალი ქართული შემოიღო. იქნება ღმერთმა ჰბრძანოს და მოიშალონ.

**ნ. თიანელს.** თქვენი ლექსი „ბალღი“ არ დაიბეჭდება.

**დ. ს—რე. ს. ძ—იას.** არ დაიბეჭდება.

**ძ. ო—თი. გ. მარგალიტიძეს.** მართალსა ჰბრძანებთ, რომ პასუხის ღირსი არ არის ის, ვის შესახებაცა სწერთ. ჩვენის აზრით მისი „გამოჩენილი პუბლიცისტობა“ ჩირად არა ჰღირს.

**მუნდირს.** კითხულობთ, მიზეზი რომელი კუთხეა საქართველოსიო. გაცნობებთ: მიზეზი თიანეთის მხარეა და სამართლიანიც არის ის წერილი.

**„შეუსრულებელ მოვალეობის“ ავტორს, „დამსწრე მასწავლებელს“.** ვინა ბრძანდებით? თქვენი ვინაობა შეგვატყობინეთ, უამისოდ წერილი არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“
О-де-колонъ.
Духи. Мыло.




Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—9)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ 31 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის სადგომში მოხდება მეორედ და უკანასკნელად

## საჯაროდ ვაჭრობა

იმ დუქნებისა და სარდაფების იჯარით გასაცემათ, რომელიც გოლოვინის პროსპექტზედ ქალაქის სახლში იმყოფება.

დაწვრილებითი პირობების განხილვა მსურველს შეუძლიან გამგეობაში ყოველ დღე შუადღის 12 საათიდგან 2 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

(3—ნ.—1)

მ ა ღ ა ზ ი ა
## ნ. ა. საბაშვილისა

ამით უცხადებს პატივცემულს ბათუმის საზოგადოებას, რომ ვინაიდგან ამ მაღაზიაში დარჩენილია დიდ-ძალი საქონელი წინა წლებისა, ბევრიც ცალობით არის დარჩენილი ისეთი საქონელი, რომელიც იყიდება დუქნობით და იმის გამო, რომ ზოგიერთ საქონლით ვაჭრობას მაღაზია სპობს, 15 ამა მარტიდგან **სამის კვირის განმავლობაში** დანიშნულია

## დიდი იაფობა

ჩვეულებრივ ფასიდგან 40%—60% დაკლებით.

შევაჭრება არ შეიძლება.

რადგანაც ქურჩლის მაღაზიაში სივიწროისა გამო გაყიდვა საქონლისა მოუხერხებელია, ამიტომ იაფობა გაიმართება სხვა მაღაზიაში ოკლობეის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით. (10—ნ.—3)

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარდა აგრეთვე ოქრომკედით ნაქარგულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.